NEWSLETTER (October, 2014)

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში



IDFI-ის ახალი კვლევა სახელმწიფო უნივერსიტეტების გამჭვირვალობის შესახებ მოიცავს ინფორმაციას გაცემული პრემია-დანამატების შესახებაც, რამაც 2013 წელს 12 მლნ-ს მიაღწია. კვლევაში აგრეთვე შეგიძლიათ იხილოთ სტუდენტური თვითმმართველობისა და წიგნების შესასყიდად გამოყოფილი თანხების შედარება, სტუდენტის სტატუსის შეჩერების სტატისტიკა და სხვა საინტერესო მონაცემები.

იხილეთ ბმული

საქართველოს ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე მიგრაციის პროცესი

ანგარიში „ციფრული საეთერო მაუწყებლობაზე მიგრაციის პროცესი- არსებული მიღწევები და პრობლემები ეხება ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების მდგომარეობის ანალიზს, საზმაუს მულტიპლექს პლატფორმის ინსტალატორი კომპანიის შესარჩევი კონკურსის საკითხებს, სახელმწიფო შესყიდვისთვის შერჩეული მეთოდოლოგიის შეფასებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

იხილეთ ბმული

თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების წარდგენასთან დაკავშირებული დარღვევები

IDFI-ი პერმანენტულად ახორციელებს ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგს. ოქტომბრის თვეში ორგანიზაციამ გამოაქვეყვნა ინფორმაცია ზოგიერთი თანამდებობის პირის დეკლარაციაში დაფიქსირებული არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევების შესახებ.

იხილეთ ბმული

რატომ გამკაცრდა სავიზო რეჟიმი საქართველოში?



IDFI დაინტერესდა, თუ რომელ საერთაშორისო აქტებს ან/და ჩატარებულ კვლევებსა და სტატისტიკურ მონაცემებს ემყარებოდა საქართველოში სავიზო რეჟიმის გამკაცრება. ორგანიზაციის აზრით, სავიზო რეჟიმის დარეგულირება საჭირო იყო, თუმცა გამკაცრება აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

იხილეთ ბმული

პარლამენტის შენობის განახლების ხარჯები



IDFI-იმ 2014 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს პარლამენტის აპარატს მიმართა თბილისის პარლამენტის შენობის განახლებასა და მოწყობასთან დაკავშირებული დეტალური ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ინსტიტუტი ასაჯაროვებს ინფორმაციას თუ რამდენი დაჯდა პარლამენტის თბილისის შენობის განახლება.

იხილეთ ბმული

2013 წლის მონაცემები შიდა ქართლიდან და იმერეთიდან

IDFI გთავაზობთ შიდა ქართლისა და იმერეთს რეგიონიდან მოსულ სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაციას, რომელიც ეხება ისეთ მნიშვნელოვან მონაცემებს როგორიცაა თანამდებობის პირების პრემიები, სახელფასო დანამატები, წარმომადგენლობითი ხარჯები, ავტოპარკი და ა.შ.

სტალინური სიები საქართველოზე

8 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა პროექტის „სტალინური სიები საქართველოდან“ პრეზენტაცია. დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ მოიძიონ ინფორმაცია მათ წინაპრებზე, რომლებიც გახდნენ 1956 წლის 5-9 მარტის მოვლენების მსხვერპლნი. პროექტი 2011-2013 წლებში განახორციელა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ (IDFI) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალთან“ თანამშრომლობითა და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროსა და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

[იხილეთ მეტი]

რეესტრის დამცავი კოდი ზღუდავს საჯარო მონაცემებზე წვდომას და ანალიზს

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ეხმაურება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდის კომპანიების ძიების განყოფილებაში ე.წ. დამცავი კოდის დამატებას, რომელიც მომხმარებელს სთხოვს მონაცემების ნახვამდე სპეციალურ გრაფაში რამდენიმე სიმბოლო შეიყვანოს. ინსტიტუტს მიაჩნია რომ აღნიშნული ცვლილება უკან გადადგმული ნაბიჯია ინფორმაციის ღიაობის უზრუნველყოფის კუთხით და მნიშვნელოვნად ზღუდავს მონაცემებზე წვდომას.

[იხილეთ მეტი]

IDFI-მ ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსთან მემორანდუმი გააფორმა

„ციფრული მაუწყებლობის სააგენტოსა“ და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ შორის პროექტ „ციფრული მაუწყებლობის“ ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანია დადგინდეს და გაუმჯობესდეს სამუშაო პროცესი ხელმომწერ მხარეებს შორის .

[იხილეთ მეტი]

კომუნიკაციების ეროვნული კომისია ელექტრონულ ტენდერს გამოაცხადებს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2014 წლის 20 აგვისტოს რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის მობილური სადგურის და სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა.
ტენდერის პირობების მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან, მათ შორის IDFI-სთან აქტიური განხილვის შემდეგ, ამა წლის 12 აგვისტოს ტენდერი შეწყდა.
კომუნიკაციების ეროვნული კომისია ხელახალ ტენდერს გამოაცხადებს.

[იხილეთ მეტი]

IDFI-ს წარმომადგენლებმა კიევში გამართულ კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს

IDFI-ს წარმომადგენლებმა მოხსენებები გააკეთეს კიევში გამართულ კონფერენციაში Agenda for Change, რომელიც ევრაზიაში ციფრული მედიის განვითარებას ეხებოდა. პრეზენტაციაზე განხილურლი იყო როგორც ინტერნეტ თავისუფლების, ასევე საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გზები და გამოწვევები. მომხსენებლებმა წარმოადგინეს რეკომენდაციები ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით და განმარტეს IDFI-ს როლი ამ პროცესში.

[იხილეთ მეტი]

მოქალაქეთა უფლებები და ჩართულობის მექანიზმები

IDFI-ს დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილიმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქალაქეთა უფლებებისა და ჩართულობის მექანიზმებზე ისაუბრა.

[იხილეთ მეტი]

IDFI-ს შეხვედრები OGP-ს შესახებ

2014 წლის 4-5 ოქტომბერს პროექტის „მთავრობის გასაკონტროლებლად საჭირო ელ-ონარების განვითარება“ მონაწილე სტუდენტებისთვის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. IDFI-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა, სტუდენტებს გააცნო OGP-ის მუშაობის მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ მონაწილეებს სამი თვის განმავლობაში შესაძლებლობა ექნებათ თავად დააკვირდნენ ხელისუფლების საქმიანობას და მოამზადონ ბლოგ-პოსტი საკუთარი მონიტორინგის შედეგების საფუძველზე. პროექტი ფინანსდება აშშ-ს საელჩოს მიერ.

IDFI-მ და იუსტიციის სამინისტრომ 11 ოქტომბერს დისკუსია გამართა ჟურნალისტებთან „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) შესახებ. სემინარის ფარგლებში ჟურნალისტებმა მიიღეს ინფორმაცია როგორც ზოგადად პარტნიორობის, აგრეთვე საქართველოს მიერ აღებული თითოეული ვალდებულებების შესახებ.

IDFI-ს დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა მორიგი სემინარი გამართა OGP-ის შესახებ ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან ისაუბრა მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობაზე სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, ასევე იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აზრი და შესაბამისად, მათი აქტიური მონაწილეობა.

IDFI და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) 22 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ და ინფორმაციის თავისუფლების პრობლემურ საკითხებზე იმსჯელეს. შეხვედრის მიზანია იყო იმ ძირითადი პრობლემური საკითხების გამოკვეთა, რომელიც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა-გაცემის მიმართულებით არსებობს. დისკუსია USAID-ის პროგრამის „კარგი მმართველობა საქართველოში“ (G-3) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ნაწილს წარმოადგენდა.

აკონტროლე შენი მთავრობა – IDFI-ს დისკუსიები რეგიონებში

IDFI ატარებს დისკუსიებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თემაზე აკონტროლე შენი მთავრობა.

პროექტის მიზანია გაზარდოს მონაწილეთა ინფორმირებულობა იმ თანამედროვე მექანიზმების შესახებ, რომლებიც საჭიროა მთავრობის ანგარიშვალდებულების მისაღწევად და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან პირდაპირი კონტაქტის დასამყარებლად. პროექტი ხორციელდება აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით.

იხილეთ ბმული

Institute for Development of Freedom of Information (IDFI)
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia.
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research